კუბა, ბოლივია, ეკვადორი

გ. სიხარულიძე, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

16 ნოემბერს მატჩის დაწყებამდე ჩვენს საპატივცემულოდ მოეწყო ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლა და დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალი. კუბის სოციალისტური (კომუნისტური) ახალგაზრდობის ორგანიზაციას ყველაფერი გაეკეთებინა, რომ მატჩს სკოლების, ფაბრიკა–ქარხნებისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები დასწრებოდნენ. სტადიონზე ტევა არ იყო.

დინამოელთა წინააღმდეგ გამოსულმა ჰავანის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს წარმოადგენდა, ვერ გაუძლო თბილისელთა მიერ შეთავაზებულ ტემპს. სტუმრებმა მასპინძლები ყველა რგოლში შეავიწროვეს და მაყურებლებს ევროპული ფეხბურთის თანამედროვე კლასი აჩვენეს, კუბელებს ვერც მოთამაშეთა ცვლამ უშველა და ანგარიში 8:0 თავისით მეტყველებდა სპორტული მეტოქეების ძალთა თანაფარდობაზე.

მეორე მატჩში, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა, კოტრიკაძე შევცვალეთ კვასხვაძით. პირველად ითამაშეს სმირნოვმა, რიაბოვმა და ნიკოლაევმაც. საჭირო იყო გავცნობოდით ამ ახალ მოთამაშეებს, რათა გვცოდნოდა თადარიგის მაქსიმალური შესაძლებლობანი სხვა უფრო საპასუხისმგებლო თამაშების წინ.

თბილისელთა მიერ დარტყმულმა ბურთებმა პირველ ტაიმში ოთხჯერ შეარხიეს მოწინააღმდეგის კარის ბადე. ა. ღოღობერიძის მეშვეობით ჩვენებს გადავეცი „თავაზიანობა“ გამოეჩინათ მასპინძლების მიმართ, რათა მაყურებელს გული არ აეყარა მათზე და შედეგით უკმაყოფილოს სულ არ მიეტოვებინა სტადიონი. ამ ხერხმა გაჭრა და შეტევაზე „გადმოსულმა“ კუბელებმა ერთი ბურთის გაქვითვით გულშემატკივართა ხანგრძლივი ტაშის გრიალი დაიმსახურეს. გატანილ გოლს ჩვენებმა ორით უპასუხეს, მაგრამ მაყურებელი მაინც კმაყოფილი იყო მატჩის შედეგით: ამჯერად ხომ მშრალი ანგარიში არა ყოფილა!

26 დეკემბერი, 1961 წ.